ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N47/ბ

07 მარტი 2018 წელი

მცხეთა

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტის საფუძველზე, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში `შემსყიდველი“, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის გივი გიუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბაგინეთი“, შემდგომში „მომწოდებელი“, მისი მენეჯერის თამთა ქენქაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის დღესასწაულზე, მოწვეული სტუმრების სადილით მომსახურება. SPV 55300000

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების მიწოდების ვადაა 2018 წლის 08 მარტი.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება **6700.00 (ექვსი ათას შვიდასი)** ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 "მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

4.3 „შემსყიდველი~ კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული შესრულებული მომსახურების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ `მომწოდებელი~ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, `შემსყიდველი~ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში `შემსყიდველს~ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში `შემსყიდველი~ უფლებამოსილია `მომწოდებელს~ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და შესრულებულ მომსახურების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი გივი გიუტაშვილი

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მომწოდებელი
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის N7 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის კოდი: TRESGE22 ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022 ს/კ 236099789 ტელ: 251 26 96	შპს „ბაგინეთი“ მის: ქ.მცხეთა, აღმაშენებლის #19 სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ნ GE80BG0000000333872400 ს/კ 400210776
მუნიციპალიტეტის მერის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის გივი გიუტაშვილი	მენეჯერი თამთა ქენქაძე

07.03.2018 წ.

მცხეთა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის გათვალისწინებულ პირობებს. (შპს „ბაგინეთი“ ს/კ **400210776 ხელშეკრულება 47/გ).**

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის

დროებითი მოვალეობის შემსრულებელი *გივი გიუტაშვილი*